ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-0323044110-03
თარიღი: 13.02.2023 13:56
ვადა: 16.03.2023

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-0123044804 განცხადების თარიღი: 13.02.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-0323044110-03
13.02.2023 : 13:56
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-0123044804**
თარიღი: **13/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

2023 წლის 10 თებერვალს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო N23.162.153 განკარგულება, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, განიხილოთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება - N 23.162.153
10 / თებერვალი / 2023 წ.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ა“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2023 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 09/08/2022; N010250050.35.101.017014) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის“ (დანართი):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის ბოლო 6 თვის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები (შემდგომში – მოსარგებლეები).“;

ბ) მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება მოსარგებლისათვის მომსახურების მისაღებად საჭირო ბარათის გადაცემის გზით ან მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში/მოსარგებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ პლასტიკურ ბარათზე შესაბამისი რაოდენობის ვიზიტის ელექტრონულად ასახვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბარათი, მოსარგებლეებს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გადაეცემათ სარგებლობაში უსასყიდლოდ, ხოლო დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ბარათის ხელმეორედ დამზადების საფასურს იხდის მოსარგებლე.

4. მომსახურების მიმწოდებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.“;

გ) მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] მუხლი:

„მუხლი 3[1]. მომსახურების მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვა

1. მომსახურების მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით მიმართავს სამსახურს და წარადგენს სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ განაცხადის ფორმას და თანხმობას, ამ წესით განსაზღვრული პირობებით ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ.

2. სამსახური ამოწმებს მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობას, რის შემდეგაც მომსახურების მიმწოდებელს აცნობებს ქვეპროგრამაში ჩართვის ან ქვეპროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ.

3. მომსახურების მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვა ხორციელდება სამსახურის უფროსის ბრძანებით, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე.

4. მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ჰქონდეს აუზი და ფიტნესდარბაზი ერთ სივრცეში;

ა) აუზის მიმართულებით:

ა.ა) უნდა შეეძლოს ერთდროულად არანაკლებ 20 მოსარგებლის მიღება;

ა.ბ) უნდა ჰქონდეს დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობა;

ა.გ) უნდა იყოს დაცული ჰიგიენის ნორმები;

ა.დ) უნდა ფუნქციონირებდეს საშხაპეები;

ა.ე) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული ექიმი;

ა.ვ) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული (კვალიფიციური) მაშველი ან ინსტრუქტორი;

ა.ზ) აუზის ზომები უნდა იყოს: სიგრძე არანაკლებ - 15მ, სიგანე არანაკლებ - 10მ, სიღრმე არანაკლებ - 1,20მ.

ბ) ფიტნესის მიმართულებით:

ბ.ა) უნდა შეეძლოს ერთდროულად არანაკლებ 15 მოსარგებლის მიღება;

ბ.ბ) უნდა ჰქონდეს დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობა;

ბ.გ) უნდა იყოს დაცული ჰიგიენის ნორმები;

ბ.დ) უნდა ფუნქციონირებდეს საშხაპეები;

ბ.ე) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული (კვალიფიციური) ფიტნესინსტრუქტორი;

ბ.ვ) ფიტნესდარბაზის სავარჯიშო სივრცე უნდა იყოს არანაკლებ - 150 კვ.მ.

5. მომსახურების მიმწოდებელმა ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) აუზის მიმართულებით:

ა.ა) ექიმის უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) ან/და ლიცენზია;

ა.ბ) მაშველის ან ინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.გ) აუზის, საშხაპეების და სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა;

ბ) ფიტნესის მიმართულებით:

ბ.ა) ფიტნესინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.ბ) ფიტნესდარბაზის, საშხაპეების და სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა.“;

დ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე გაცემული ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

გ) ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).“ ;

ე) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. მოსარგებლე ვალდებულია მომსახურების მიმწოდებელს ქვეპროგრამაში ჩართვის დღიდან ყოველ მომდევნო:

ა) ექვს თვეში წარუდგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა);

ბ) ერთ წელიწადში წარუდგინოს განახლებული ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ.“;

ვ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომსახურების მიმწოდებლის შემოწმებას, საჭიროებისამებრ, ახორციელებს სამსახური. შემოწმებისას ხდება მომსახურების მიმწოდებელთან სამსახურის უფლებამოსილი პირის (შემდგომში – შემმოწმებელი) ვიზიტი და გაწეული მომსახურების შესახებ, სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება. შესაძლებელია, მოსარგებლეებთან და მომსახურების მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება (მათ შორის სატელეფონო კომუნიკაციის გზით).“;

ზ) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახური განიხილავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტებს, სამსახურში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და შეუსაბამობის არ არსებობის შემთხვევაში, მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, მომსახურების მიმწოდებლისათვის თანხის გადარიცხვის/ასახვის მოთხოვნით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2023 წლის _____
ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 09/08/2022; N010250050.35.101.017014) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის“ (დანართი):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის ბოლო 6 თვის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებული 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები (შემდგომში – მოსარგებლეები).“;

ბ) მე-3 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება ხორციელდება მოსარგებლისათვის მომსახურების მისაღებად საჭირო ბარათის გადაცემის გზით ან მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში/მოსარგებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ პლასტიკურ ბარათზე შესაბამისი რაოდენობის ვიზიტის ელექტრონულად ასახვით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბარათი, მოსარგებლეებს მომსახურების მიმწოდებლის მიერ გადაეცემათ სარგებლობაში უსასყიდლოდ, ხოლო დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ბარათის ხელმეორედ დამზადების საფასურს იხდის მოსარგებლე.

4. მომსახურების მიმწოდებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი.“;

გ) მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 მუხლი:

„მუხლი 3^1. მომსახურების მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვა

1. მომსახურების მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით მიმართავს სამსახურს და წარადგენს სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ განაცხადის ფორმას და თანხმობას, ამ წესით განსაზღვრული პირობებით ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ.

2. სამსახური ამოწმებს მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობას, რის შემდეგაც მომსახურების მიმწოდებელს აცნობებს ქვეპროგრამაში ჩართვის ან ქვეპროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ.

3. მომსახურების მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვა ხორციელდება სამსახურის უფროსის ბრძანებით, სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე.

4. მიმწოდებელი ქვეპროგრამაში ჩართვისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) უნდა ჰქონდეს აუზი და ფიტნესდარბაზი ერთ სივრცეში;

ა) აუზის მიმართულებით:

ა.ა) უნდა შეეძლოს ერთდროულად არანაკლებ 20 მოსარგებლის მიღება;

ა.ბ) უნდა ჰქონდეს დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობა;

ა.გ) უნდა იყოს დაცული ჰიგიენის ნორმები;

ა.დ) უნდა ფუნქციონირებდეს საშხაპეები;

ა.ე) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული ექიმი;

ა.ვ) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული (კვალიფიციური) მაშველი ან ინსტრუქტორი;

ა.ზ) აუზის ზომები უნდა იყოს: სიგრძე არანაკლებ - 15მ, სიგანე არანაკლებ - 10მ, სიღრმე არანაკლებ - 1,20მ.

ბ) ფიტნესის მიმართულებით:

ბ.ა) უნდა შეეძლოს ერთდროულად არანაკლებ 15 მოსარგებლის მიღება;

ბ.ბ) უნდა ჰქონდეს დასწრების ელექტრონული აღრიცხვის მოწყობილობა;

ბ.გ) უნდა იყოს დაცული ჰიგიენის ნორმები;

ბ.დ) უნდა ფუნქციონირებდეს საშხაპეები;

ბ.ე) უნდა ჰყავდეს სერტიფიცირებული (კვალიფიციური) ფიტნესინსტრუქტორი;

ბ.ვ) ფიტნესდარბაზის სავარჯიშო სივრცე უნდა იყოს არანაკლებ - 150 კვ.მ.

5. მომსახურების მიმწოდებელმა ქვეპროგრამაში ჩართვის შესახებ განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) აუზის მიმართულებით:

ა.ა) ექიმის უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) ან/და ლიცენზია;

ა.ბ) მაშველის ან ინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ა.გ) აუზის, საშხაპეების და სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა;

ბ) ფიტნესის მიმართულებით:

ბ.ა) ფიტნესინსტრუქტორის სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ.ბ) ფიტნესდარბაზის, საშხაპეების და სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა.“;

დ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე გაცემული ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

გ) ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა).“ ;

ე) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3^1. მოსარგებლე ვალდებულია მომსახურების მიმწოდებელს ქვეპროგრამაში ჩართვის დღიდან ყოველ მომდევნო:

ა) ექვს თვეში წარუდგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა);

ბ) ერთ წელიწადში წარუდგინოს განახლებული ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ.“;

ვ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომსახურების მიმწოდებლის შემოწმებას, საჭიროებისამებრ, ახორციელებს სამსახური. შემოწმებისას ხდება მომსახურების მიმწოდებელთან სამსახურის უფლებამოსილი პირის (შემდგომში – შემმოწმებელი) ვიზიტი და გაწეული მომსახურების შესახებ, სამსახურში წარდგენილი ინფორმაციის გადამოწმება. შესაძლებელია, მოსარგებლეებთან და მომსახურების მიმწოდებელთან დასაქმებულ პერსონალთან გასაუბრება (მათ შორის სატელეფონო კომუნიკაციის გზით).“;

ზ) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სამსახური განიხილავს მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარდგენილ საანგარიშგებო დოკუმენტებს, სამსახურში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და შეუსაბამობის არ არსებობის შემთხვევაში, მიმართავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, მომსახურების მიმწოდებლისათვის თანხის გადარიცხვის/ასახვის მოთხოვნით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N13-76 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სპორტი უფროსი თაობისთვის“ (კოდი 08 06 07) ფარგლებში საცურაო აუზების და ფიტნეს დარბაზების მომსახურების მისაღებად, 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირების დაფინანსების წესი“ (დანართი). წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ წესში შემდეგი ცვლილების შეტანა, კერძოდ, წესის:

მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაემატება ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის ბოლო 6 თვის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრაციის პირობა, იმ შემთხვევათა პრევენციისთვის, როდესაც ბენეფიციარი განცხადების შემოტანამდე რამდენიმე დღით ადრე რეგისტრირებული იყო საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტში და ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით, რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატება მოსარგებლის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ პლასტიკურ ბარათზე შესაბამისი რაოდენობის ვიზიტის ელექტრონულად ასახვის შესაძლებლობა, რაც მიმწოდებელს და მოსარგებლეს გაუმარტივებს მომსახურების პროცედურებს;

მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში დაკონკრეტდება და დაემატება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბარათის გამცემი სუბიექტი - მომსახურების მიმწოდებელი;

მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „მომსახურების მიმწოდებელია საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი“. აღნიშნული ცვლილებით, მომსახურების მიმწოდებელთა წრე გაფართოვდება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთან „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრთან“ (ს/ნ 400085572) ერთად, საჯარო ან კერძო სამართლის სხვა იურიდიულ პირებსაც მიეცემათ საშუალება ჩაერთონ ქვეპროგრამაში, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციართა ინდივიდუალური ტერიტორიული მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ხელს შეუწყობს ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის ზრდას.

მე-3 მუხლის შემდეგ დაემატება 3^1 მუხლი, რომლითაც განისაზღვრება მომსახურების მიმწოდებლის ქვეპროგრამაში ჩართვის პირობები და მოთხოვნები, რომლებსაც უნდა

აკმაყოფილებდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, ასევე მათ მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები.

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებს დაემატება მოსარგებლის მიერ ქვეპროგრამაში რეგისტრაციის დღისთვის არაუგვიანეს 1 თვით ადრე გაცემული ცნობების (რეგისტრაციის ადგილის შესახებ და სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა) წარდგენის ვალდებულება;

ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის სპორტულ აქტივობებში ჩართვაზე პირდაპირი გავლენის გათვალისწინებით, მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატება 3^1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: მოსარგებლე ვალდებულია მომსახურების მიმწოდებელს ქვეპროგრამაში ჩართვის დღიდან ყოველ მომდევნო ექვს თვეში წარუდგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV-100/ა);

მოსარგებლის მიერ ქვეპროგრამაში რეგისტრაციის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევათა პრევენციის მიზნით, მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატება 3^1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც მოსარგებლეს ავალდებულებს ქვეპროგრამაში ჩართვის დღიდან ყოველ მომდევნო ერთ წელიწადში მომსახურების მიმწოდებელს წარუდგინოს განახლებული ცნობა, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატება ჩანაწერი „მათ, შორის სატელეფონო კომუნიკაციის გზით;

მე-9 მუხლის მე-4 პუნქტში თანხის გადარიცხვასთან დაემატება თანხის „ასახვა“, ვინაიდან აღნიშნულ ქვეპროგრამაში მომსახურების მიმწოდებლებად ჩართულია და ჩართვის შესაძლებლობა აქვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.